

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №55**

**20 ოქტომბერი 2023 წ.
12:00 სთ**

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, გიორგი ტყემალაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე, არჩილ გორდულაძე.

მონწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი - სოფო დოდონაძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. **საკრ.№12-03232924-03 19/10/23**

3. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **საკრ.№12-0323275139-03 03/10/23**

4. „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4 / ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-0323275139-03 03/10/23**

5. „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში არსებული 36.04 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-0323275139-03 03/10/23**

6. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.014) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032327946-03 09/10/23**

7. „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“. **საკრ.№12-032327946-03 09/10/23**

8. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.01.504) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. **საკრ.№12-032327946-03 09/10/23**

9. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069.01.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-0323291141-03 18/10/23; საკრ.№12-0323291139-03 18/10/23**

10. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031.01.51002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-0323291141-03 18/10/23; საკრ.№12-0323291139-03 18/10/23**

11. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“**საკრ.№12-0323291141-03 18/10/23; საკრ.№12-0323291139-03 18/10/23**
12. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კორპუს N36-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.34.003.178.01.004) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“**საკრ.№12-0323291141-03 18/10/23; საკრ.№12-0323291139-03 18/10/23**
13. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“**საკრ.№12-0323291141-03 18/10/23; საკრ.№12-0323291139-03 18/10/23**
14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“**საკრ.№12-0323291136-03 18/10/23**
15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“**საკრ.№12-0323291137-03 18/10/23**
16. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032327680-03 04/10/23**
17. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.032.019) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნანა ფეტელავასთვის (პ/ნ: 01030028213) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032327930-03 06/10/23**
18. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.027.029) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (ს/ნ: 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.**საკრ.№12-032327931-03 09/10/23**
19. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №16-24-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.027.033) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.032.024) 4 კვ.მ. და 2 კვ.მ მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (ს/ნ. 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032327931-03 06.10.2023**
20. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) 26 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზაფრან 95“-ისთვის (ს/ნ: 400347521) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032327932-03 06/10/23**
21. ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო მალღაფერიძისთვის (პ/ნ: 01006013904) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032327933-03 09/10/23**
22. ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N16-24-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.032.015) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნოდარ ლებანიძისთვის (პ/ნ: 01007010358) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032327961-03 09/10/23**
23. „ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის N17-ში, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებულ ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამომავლო საკუთრების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების თაობაზე“
საკრ.№12-032327929-03 09/10/23

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 404851503) შორის, 2015 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-265-42-12829 ხელშეკრულებითა და 2016 წლის 17 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-298-19-17458 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-0323275138-03 03/10/23**

25. ქ. თბილისში, საინჟინო ჩიხი №5-ში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 315 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.331) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე **საკრ.№12-032327963-03 09/10/23**

26. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდოში არსებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.041.160) შესყიდვის თაობაზე“ **საკრ.№12-0323291135-03 18/10/23**

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე 397 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.02.027.009) და ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსივიკაციის გზას შორის მდებარე 600 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.529) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-032328692-03 16/10/23**

28. „ქ. თბილისში, კრწანისში, სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 104 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.18.06.013.026) და 1 742 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.18.06.014.207) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-0323291134-03 18/10/23**

29. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2016 წლის 27 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-307-14-19617 ხელშეკრულებითა და 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-484-9-23876 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032327864-03 06/10/23**

30. ქ. თბილისში, გლდანის მასივის IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა N1-ის მე-2 სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 286.78 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.501) უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისთვის - „World Vision International -ის ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ: 203844251) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე **საკრ.№12-032327934-03 09/10/23**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

ლევან მიქვას მოხსენებით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი იცვლის ლოკაციას და განთავსდება ა(ა)იპ „ასოციაცია აგორა“ს ტერიტორიაზე. გადასვლასთან დაკავშირებით და საიჯარო თანხებისთვის სჭირდებათ 104960 ლარი. ამიტომ სამსახურის მოთხოვნით, პროგრამაში „პანტომიმის სახელმწიფო თეატრი“ (პროგ/კოდი: 08 01 02) წლიურში ემატება 104960 ლარი. თანხის გადმოტანა ხდება პროგრამიდან „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 08 04 01).

მომრე-9

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური ითხოვს მასზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა, უმრავლესობით გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის

მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა** საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხების კომისიის წევრებს წარუდგინა სოფო დოლონაძემ

მოისმინეს: „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სოფო დოლონაძის მოხსენებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 22 თებერვლის N23.212.241 განკარგულებით ცვლილება შევიდა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებაში და განისაზღვრა სეპარირებული შეგროვების შედეგად მიღებულ ერთგვაროვან მუნიციპალურ ნარჩენებზე აუქციონის გამოცხადების წესი და აღნიშნული მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით ბე-ს ოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად: ბეს ოდენობა უნდა შეადგენდეს აუქციონის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ნარჩენის სავარაუდო ჯამური ოდენობის ღირებულების არანაკლებ 20%-ს და არაუმეტეს 80%-ს. აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ბოლო ეტაპის შესაბამის გადახდაში.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ზემოაღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 6 აპრილის N23.469.541 განკარგულებით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებაში შევიდა ცვლილება და განისაზღვრა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაში არსებულ საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ერთგვაროვანი ნარჩენის განკარგვის მიზნით აუქციონის გამოცხადებისას გამოიყენება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესი. (მუხლი 71).

ამასთან, ამავე დადგენილების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, აუქციონში მონაწილეები ბეს იხდიან აუქციონატორის ანგარიშზე, რომელიც განისაზღვრება აუქციონის ორგანიზების, ჩატარებისა და შედეგების გაფორმებისათვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის ოდენობით.

სოფო დოლონაძემ აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-74 დადგენილების მე-13 მუხლის მიხედვით, სააგენტო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირი) აუქციონს ატარებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო სხვა ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისთვის – მოქმედი კანონმდებლობისა და ხელშეკრულების შესაბამისად და აუქციონის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება თითოეული ლოტის საწყისი ღირებულების (ბიჯის გარეშე) 5%-ით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის რომ მითითებული ნორმები არ იყოს ბუნდოვანი და ნათლად ჩანდეს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი

საწარმოების საკუთრებაში არსებულ საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ერთგვაროვანი ნარჩენის განკარგვის მიზნით, №19-72 დადგენილების 71 მუხლით გათვალისწინებული წესით აუქციონის გამოცხადებისას, მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი, მიზანშეწონილია აღნიშნული დაზუსტდეს N20-100 დადგენილებაში.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირ N115-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031) მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 3 პირს (ოჯახს). მოქალაქეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში 1977- 2000 წლიდან ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. მითითებულ მოქალაქეებს საერთო ჯამში გადაეცემათ - 65.20 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4 / ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ ივანე მაჩაბლის ქუჩა N2, მე-3 სართულზე არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მარიამ ზაალიშვილს (პ/ნ: 01017040110). შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დგინდება, რომ მოქალაქე მარიამ ზაალიშვილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში, 2010 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141-ში არსებული 36.04 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქუჩა N141, მე-4 სართულზე არსებული 36.04 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.008.02.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე შორენა აბრალავას (პ/ნ: 51001001779) რომელიც შსს-ს ცნობით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ფერმწერთა - 2020“-ის განცხადებით დასტურდება, რომ 2004 წლიდან ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.014) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში, პირველ სართულზე არსებული 81.32 კვ.მ ფართის ბინა N14-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე დარეჯან ჯიქიძეს (პ/ნ 38001022053) , რომელიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ხანგრძლივი

დროის განმავლობაში 12 წელი ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. მითითებულ მისამართზე მდებარე შენობა არის ავარიული და წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 მაისის N10-48 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მიმდინარე საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროექტს. აღნიშნული პირის (1 პირს (1 ოჯახს) გადაეცემა 1 ერთეული 81.32 კვ.მ. ფართი)

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“.

სოფო დოდონაძის მოხსენებით ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემათ იმ პირებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 3 პირს (3 ოჯახს) საკუთრებაში გადაეცემა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართები, კერძოდ: ალექსანდრე ჩხაიძე (პ/ნ 01019055782) დაკავებული ფართი - 22.09 კვ.მ; ანა ყაველაშვილი (პ/ნ 01019077273) დაკავებული ფართი - სარდაფი 48.86 კვ.მ; ნინა კობაიძე (პ/ნ 01019047447) დაკავებული ფართი - სარდაფი 26.86 კვ.მ; აღნიშნულ პირებს საერთო ჯამში გადაეცემათ 97.84 კვ.მ ფართი

შსს-ს ცნობებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 2002 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე; ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმით კი დგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები ოჯახებთან ერთად 2012 წლიდან ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.01.504) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. საკრ.№12-032327946-03 09/10/23

სოფო დოდონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში, პირველ სართულზე არსებული 69.83 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.01.504) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ტარიელ შაინიძეს (პ/ნ 61009031986) .

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ტარიელ შაინიძე ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2009 წლიდან. აღნიშნული პირის (1 პირს (1 ოჯახს) გადაეცემა 1 ერთეული 69.83 კვ.მ. ფართი)

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069.01.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

სოფო დოდონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში, პირველ სართულზე არსებული 25.64 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 01.19.15.001.069.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გიორგი ტალახაძეს (პ/ნ 01611117752). შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ გიორგი ტალახაძე დაახლოებით 23 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ გიორგი ტალახაძე მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2000 წლიდან. აღნიშნული პირს (1 პირს (1 ოჯახს) გადაეცემა 1 ერთეული 25.64 კვ.მ.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031.01.51002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში, პირველ სართულზე არსებული 34.08 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031.01.51002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გოგა ძაგოევს (პ/ნ 01033004561), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით. შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ გოგა ძაგოევი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2004 წლიდან. ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ გოგა ძაგოევი ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2000 წლიდან. აღნიშნული პირის (1 პირს (1 ოჯახს) გადაეცემა 34.08 კვ.მ. ფართი.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში, შენობა N2-ში, მეორე სართულზე არსებული 53.98 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.11.04.017.013.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ირინა ზარქუას (პ/ნ 29001034631), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ შვილთან ერთად 2008 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კორპუს N36-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.19.34.003.178.01.004) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირზე, კორპუსი N36-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე, მეორე სართულზე არსებული 49.70 კვ.მ ფართის ბინა N4-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.34.003.178.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნინო მამუკაშვილს (პ/ნ 01027068647) , რომელიც შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ დედასთან ერთად 19-20 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა-ში, კორპუსი N2-ში, პირველ სართულზე არსებული 33.31 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.520) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნოდარი ეფრემიძეს (პ/ნ 37001001183), რომელიც

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით, რომ ოჯახთან ერთად მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2006 წლიდან;

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

სოფო დოდონაძის მოხსენებით, ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის დასკვნის საფუძველზე 2019 წელს საცხოვრებლად უვარგისად იყო ცნობილი და დადასტურებული ქ.თბილისში, ვარკეთილი 3 მასივი 1კვ.1 კორპ. გამგეობის მიერ განხორციელდა არაგეგმიური მოსახლეობის გამოსახლება(ევაკუაცია). დღეის მდგომარეობით 12 ოჯახიდან გაყვანილია 6 ოჯახი და გამგეობის ბიუჯეტიდან ყოველთვიურად ერიცხებათ ქირის საკომპენსაციო თანხები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, დარჩენილი 6 ოჯახიდან 2 ოჯახს, რომელთა ქონებაც იპოთეკით იყო დატვირთული გადაეცემათ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული „ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11-ში (ს/კ 01.19.20.020.080.01.01.035) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში მდებარე (ს/კ 01.19.20.020.083.01.01.049) ფართები პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით (ჯამში 150 კვმ) ხოლო ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემდეგი საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს მათ საკუთრებაში არსებულ ფართებს.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

სოფო დოდონაძის მოხსენებით, თბილისის სხვადასხვა რაიონული გამგეობების მიერ და 26 კომისრების სახელობის რაიონული სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ფიზიკურ პირებს გადაეცათ ქ.თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლება 2 მ/რ-ში მდებარე №33 და №37 კორპუსებში (ე.წ წითელი აგურებისკორპუსი) აშენებული/ასაშენებელი ფართები. ნაწილს ეს ფართები გადაეცათ იმ გარემოების გამო, რომ მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართები ექვემდებარებოდა დანგრევას, ხოლო ნაწილს მათი საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, მათთვის ამ ფართების გადაცემა ვერ მოხერხდა უფლება დამდგენი დოკუმენტების ნაწილის საფუძველზე. დროთა განმავლობაში კორპუსის აშენებამდე აქ თვითნებურად დასახლდნენ სხვა ფიზიკური პირები, რომლებმაც მოახდინეს ფართების ნაწილის დემონტაჟი ან სხვა ფართებთან გაერთიანება.

დაზარალებული პირების საკითხის მოსაგვარებლად თბილისის მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №22.2101.2251 განკარგულებით და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის №21 განკარგულებისთ თბილისის მთავრობას დაევალა რაიონული განგეობების და 26 კომისრების სახელობის რაიონული სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულ, მოთხოვნის უფლების მოქნე პირებს, შესთავაზოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება და ამ პირების საკითხის მოგვარების შემდეგ, ვარკეთილი 3-ის დასახლება 2 მ/რ-ში მდებარე №33 და №37 კორპუსებში ფაქტობრივი მოსარგებლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის დაწყება. ამ ეტაპზე ხდება ორი პიროვნების დაკმაყოფილება .(ჯამში 99,60 კვმ ფართით)

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალმენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

სოფო დოლონაძის მოხსენებით, გიორგი ახალშენიშვილს (პ/ნ: 01019005452) გადაეცემა „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწისნაკვეთი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N49/მაზნიაშვილის ქუჩა N2-ში მდებარე N01.16.05.014.001.01.592 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. სააგენტოს წარედგინა აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად, საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამი შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ. აღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: №01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილი, რომლის თანახმად სამსახური წინააღმდეგი არ არის დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის სარგებლობის უფლებით განკარგვასთან იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრი სიგანის მქონე საჯარო /საქვეითო სივრცე, ხოლო, ობიექტის ინვენტარი განთავსდება 5 მეტრი სიგანის მონაკვეთის მიღმა.

იჯარის მოქმედების ვადდა 5 (ხუთი) წელი, წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 2 400 (ორი ათას ოთხასი) ლარით.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.032.019) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნანა ფეტელავასთვის (პ/ნ: 01030028213) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ნანა ფეტელავას (პ/ნ: 01030028213) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.019) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად, 5 წლის ვადით. აღნიშნული პირი საკუთრების უფლებით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N18-20-ში მდებარე ფართებს (ს/კ: 01.16.05.032.005.01.008; 01.16.05.032.005.01.008ა).

მოთხოვნილ 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს. სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსდება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნანა ფეტელავასთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2640 ლარის ოდენობით.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.027.029) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტიისთვის“ (ს/ნ: 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სოფო დოლონაძის მოხსენებით, შპს „აგრო ინვესტს“ (ს/ნ: 202276321) სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაეცემა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.027.029) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N27-ში მდებარე ფართს (ს/კ: N01.16.05.027.002.01.525).

დაინტერესებაში არსებულ 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წერილით, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა ქ. თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფესთვის მოთხოვნილი 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს, მაგიდა-სკამების მხოლოდ ერთი რიგზე, კედლის გასწვრივ განთავსების რეკომენდაციით.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „აგრო ინვესტისთვის“ იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 8 წლისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. №16-24-ის მიმდებარედ არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.027.033) 15 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. №01.16.05.032.024) 4 კვ.მ. და 2 კვ.მ მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგრო ინვესტისთვის“ (ს/ნ. 202276321) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

სოფო დოლონაძის მოხსენებით, შპს „აგრო ინვესტის“ (ს/ნ: 202276321) იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N27-29-ის მიმდებარედ არსებული 171 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.027.029) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ღია კაფეს მოსაწყობად. აღნიშნული კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N27-ში მდებარე ფართს (ს/კ: N01.16.05.027.002.01.525).

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „აგრო ინვესტისთვის“ იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 8 წლისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) 26 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ზაფრან 95“-ისთვის (ს/ნ: 400347521) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

სოფო დოლონაძის მოხსენებით, შპს „ზაფრან 95“-ს (ს/ნ: 400347521) იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.16.05.032.024) 26 კვ.მ მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 2026 წლის 1 აპრილამდე. კომპანია იჯარის უფლებით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N34-ში მდებარე ფართს (ს/კ: 01.16.05.025.008.01.500), აღნიშნული ვადით.

დაინტერესებაში არსებულ 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, თბილისის მერიამი მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, დადებითი შეფასება მიეცა ღია კაფეს განთავსებისთვის მოთხოვნილი 26 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის საკითხს.

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე

საჯარო/საქვეითე სივრცია მიღმა. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 26 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ზაფრან 95“-ისთვის (ს/ნ: 400347521) იჯარით გადაცემის საკითხი, 2026 წლის 1 აპრილამდე ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 6240 ლარის ოდენობით.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო მალღაფერიძისთვის (პ/ნ: 01006013904) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ნინო მალღაფერიძე (პ/ნ: 01006013904) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული ფიზიკური პირის საკუთრებაშია ქ. თბილისში, სანაპირო, ახალგაზრდობის ბაღში მდებარე N01.18.03.003.006 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

აღსანიშნავია, რომ განცხადებით მოთხოვნილი უძრავი ქონება ნინო მალღაფერიძეს გადაცემული ჰქონდა სარგებლობის უფლებით, რომლის მოქმედების ვადა ამოიწურა 2023 წლის 21 აგვისტოს.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე დია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. სააგენტოს წარედგინა სამსახურის წერილობითი პოზიცია, რომლის თანახმად, საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ. აღნიშნული საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება. საკითხთან დაკავშირებით ასევე წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი, რომლის თანახმად სამსახური წინააღმდეგი არ არის 94 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი პროექტით, საკრებულოს შესათანხმებლად წარედგინება, ნინო მალღაფერიძისთვის (პ/ნ: 01006013904) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით მსუბუქი კონსტრუქციით განსაზღვრული დია კაფეს ფუნქციონირების მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.003.025), ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზზე მონიშნული 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის 5 (ხუთი) წლის ვადით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 33 840 ლარით.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N16-24-ის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.032.015) 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნოდარ ლებანიძისთვის (პ/ნ: 01007010358) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სოფო დოლონაძის მოხსენებით, ნოდარ ლებანიძეს (პ/ნ: 01007010358) იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაეცემა, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზ. N16-24-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.16.05.032.015), დია კაფეს მოსაწყობად, 10 წლის ვადით. აღნიშნული პირი თანასაკუთრების უფლებით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N18-20-ში მდებარე ფართს (ს/კ: 01.16.05.032.005.01.504).

დაინტერესებაში არსებულ 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე დია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადებითი შეფასება მიეცა დია კაფესთვის მოთხოვნილი 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება 22 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნოდარ ლებანიძისთვის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი 10 წლისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 5280 ლარის ოდენობით.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის N17-ში, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებულ ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამომავლო საკუთრების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების თაობაზე“

სოფო დოდონაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის N21.536.625 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის N192 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ: 405385925) ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405385925) (დღეის მდგომარეობით - „შპს დეკა დეველოპმენტი (ს/ნ: 405385925) შორის გაფორმდა „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კოოპერატივის წევრებმა, ზემოხსენებული განკარგულებების დანართით განსაზღვრული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

სოფო დოდონაძემ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული კოოპერატიული პროექტის ფარგლებში, ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით, დაკმაყოფილდნენ N633 კოოპერატივის წევრები, თუმცა კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო საბინაო ვალის დაფარვის მიზნით უძრავი ქონების მათთვის გადაცემის მოთხოვნით, N633 კოოპერატივის წევრთა ნაწილს (9 პირი) პროექტის განხორციელების ეტაპზე სააგენტოში არ ჰქონდა წარმოდგენილი მოთხოვნა დაკმაყოფილების თაობაზე. შესაბამისად, ვინაიდან, მათ წინაშე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საბინაო ვალის არსებობის ფაქტი აღიარებულია, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, აღნიშნული პირების მიერ მისაღები საცხოვრებელი ფართის (598.971 კვ.მ), სამომავლო საკუთრებაში მიმღებად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელების ეტაპზე იდენტიფიცირებულ 2 (ორი) პირს: სააგენტოში არ წარმოუდგენიათ პროექტში დაკმაყოფილების თაობაზე შესაბამისი თანხმობა, რის გამოც, მათთვის გათვალისწინებული ფართზე (129.086 კვ.მ) სამომავლო საკუთრებაში მიმღებად განისაზღვრა მუნიციპალიტეტი.

მომხსენებლის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 10 (ათ) ინდივიდუალურ ფართზე, რომელთა ფართობი ჯამურად შეადგენს 616,9 კვ.მ-ს.

ზემოაღნიშნულ ფართებზე ფართებზე მუნიციპალიტეტის სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზანი იყო, სამშენებლო პროექტის დასრულებამდე შესაბამის პირთა იდენტიფიცირება და მათი იდენტიფიცირების შემთხვევაში, მათთვის კუთვნილი ფართებზე საკუთრების უფლების გადაცემა.

მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი პროექტით სამომავლო საკუთრების უფლება გადაეცემათ N633 კოოპერატივის იმ პირებს, რომელთაც მონაცემები იდენტიფიცირებულ იქნა სააგენტოს მიერ და წარმოადგინეს შესაბამისი თანხმობა მითითებულ პროექტიდან მათთვის შეთავაზებულ შესაბამისა ფართებზე.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა განცხადებები, რომლითაც აღნიშნული პირები ადასტურებენ, რომ „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15 -ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებული. N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10,755 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ: 405385925) და კოოპერატივის წევრებს შორის, 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებულ ხელშეკრულებას. ამასთან, ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15 -ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი საკუთრებაში არსებული. N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან 115.15 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღების და ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე - N01.10.08.006.230.02.01.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მშენებარე ფართზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სამომავლო საკუთრების უფლების გადმოცემის შემთხვევაში, აცხადებენ თანხმობას და ადასტურებენ, რომ მათ მიერ სრულად იქნება შესრულებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული კოოპერატივის წევრების ვალდებულებები. ასევე, აცხადებენ და ადასტურებენ, რომ გაეცნენ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრებს, სააგენტოსა და კომპანიას შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტს და თანახმა არიან, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება ზემოთ მითითებული პირობებით. შესაბამისად, კოოპერატივის წევრების მიმართ არსებული სახელმწიფო სამინაო ვალი ჩაითვლება სრულად დაფარულად და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ აქვთ/არც მომავალში წარმოემობათ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას აცხადებს ქ. თბილისში, არჩილ მეფის N17-ში, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაში არსებულ ზოგიერთ (მშენებარე) ფართზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამომავლო საკუთრების უფლების, ამ განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრულ პირთათვის სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 4 ოქტომბრის N23.1494.1660 განკარგულების დანართი N2-ით წარმოდგენილი შეთანხმების პირობების შესაბამისად.

მომხრე- 9.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 404851503) შორის, 2015 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-265-42-12829 ხელშეკრულებითა და 2016 წლის 17 მარტს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-298-19-17458 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

სოფო დოდონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „აი ჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ (ს/ნ 404851503) შორის გაფორმებული 2015 წლის 13 მაისის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-265-42-12829 ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული 4194 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.11.12.022.018) შემდეგი პირობებით - „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ და „მუზლუდვა - მშენებლობის უფლების გარეშე“. №01.11.12.022.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი გაერთიანდა №01.11.12.023.002 და №01.11.12.023.015 საკადასტრო ერთეულებთან და დარეგისტრირდა №01.11.12.023.018 საკადასტრო ერთეულად, რომელზეც გავრცელდა №ე-265-42-12829 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

სააგენტოსა და მყიდველს შორის, ასევე, გაფორმდა 2016 წლის 17 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-298-19-17458 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე, მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ხიზაბავრის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებული 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.11.12.022.026) შეზღუდვით - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და „კეთილმოწყობის პირობით“

მომხსენებელმა განმარტა, რომ №01.11.12.023.018, №01.11.12.023.016 და №01.11.12.022.026 საკადასტრო ერთეულები, გაერთიანების შედეგად, დარეგისტრირდა №01.11.12.023.019 საკადასტრო ერთეულად, ხოლო ეს უკანასკნელი, №01.11.12.022.005 საკადასტრო ერთეულთან გაერთიანების შედეგად, დარეგისტრირდა №01.11.12.023.022 საკადასტრო კოდით. მყიდველმა, 2022 წელს განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა №01.11.12.022.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 4194 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (დღევანდელი მდგომარეობით 01.11.12.023.022) და №01.11.12.022.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (დღევანდელი მდგომარეობით 01.11.12.023.022) არსებული პირობების გაუქმება.

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, შესაძლებლად მიიჩნია №01.11.12.022.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 4194 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (დღევანდელი მდგომარეობით 01.11.12.023.022) და №01.11.12.022.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (დღევანდელი მდგომარეობით 01.11.12.023.022) არსებული პირობების გაუქმება. სააგენტომ წერილით მიმართა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს და ითხოვა ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა, რომელიც დაადგენდა:

ა) მყიდველის მიერ, აუქციონზე შეძენილი №01.11.12.022.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (385 009 ლარი) და აუქციონის დროისთვის, ამავე მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობას, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით; ასევე,

ბ) მყიდველის მიერ, აუქციონზე შეძენილი №01.11.12.022.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (72 450 ლარი) და აუქციონის დროისთვის, ამავე მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობას, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით.

ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის შესაბამისად:

ა) №265 აუქციონზე შეძენილი №01.11.12.022.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (385 009 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის შეზღუდვის „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე დადგენილ ღირებულებას (671 040 ლარი) შორის სხვაობის (286 031 ლარი) დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებულმა თანხამ შეადგინა 954 402 ლარი;

ბ) №298 აუქციონზე შეძენილი №01.11.12.022.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (72 450 ლარი) და აუქციონის დროისათვის ამავე მიწის ნაკვეთის შეზღუდვის „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე დადგენილ ღირებულებას (279 363 ლარი) შორის სხვაობის (206 913 ლარი) დღევანდელი მდგომარეობით დაანგარიშებულმა თანხამ შეადგინა 609 755 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, 2023 წლის 14 ივნისის №23.845.959 განკარგულების შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარედგინა №01.11.12.022.018 და №01.11.12.022.026 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე არსებული პირობების გაუქმების წინადადება.

მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე გამოვლინდა ახალი გარემოება. კერძოდ, ექსპერტიზის ბიუროს 2023 წლის 23 მაისის №003512523 დასკვნაში მითითებული ფასთა შორის სხვაობის დადგენისას არ იყო გათვალისწინებული სააგენტოს 2023 წლის 12 აპრილის წერილით დაზუსტებული გარემოება - რომ №01.11.12.022.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, განკარგვის დროისთვის,

ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ), სატრანსპორტო ზონა (ტზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ-1) და სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2), №01.11.12.022.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე - საცხოვრებელი ზონა (სზ) და სატრანსპორტო ზონა (ტზ-1), ხოლო დღევანდელი მდგომარეობით, ორივე მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ახლად გამოვლენილი გარემოების გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ დაზუსტდა მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონ(ებ)ის ცვლილების საკითხი და ექსპერტიზის ბიუროს ეთხოვა დასკვნის მომზადება, რომლითაც დადგინდებოდა:

ა) მყიდველის მიერ, აუქციონზე შეძენილი №01.11.12.022.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (385 009 ლარი) და აუქციონის დროისთვის, ამავე მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობა, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით, იმ დაშვებით, რომ განკარგვის დროისათვის, მოცემულ უძრავ ქონებაზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2);

ბ) მყიდველის მიერ, აუქციონზე შეძენილი №01.11.12.022.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სრულ საპრივატიზებო საფასურსა (72 450 ლარი) და აუქციონის დროისთვის, ამავე მიწის ნაკვეთზე შეზღუდვის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე დადგენილ ღირებულებებს შორის სხვაობა, მოცემული დღევანდელი მდგომარეობით, იმ დაშვებით, რომ განკარგვის დროისათვის, მოცემულ უძრავ ქონებაზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

ექსპერტიზის ბიურომ, 2023 წლის 20 სექტემბრის დასკვნის შესაბამისად, დაადგინა შემდეგი:

ა) 2023 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით, ქ. თბილისში, ხევძმარის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული, №01.11.12.022.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4194 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სსზ-2-ის გათვალისწინებით და შეზღუდვის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე და 2023 წლის 16 იანვრის №61-01230161822 და 2023 წლის 12 აპრილის №61-01231022818 წერილების გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებასა (2 650 608 ლარი) და ქ. თბილისში, ხევძმარის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული, №01.11.12.022.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4194 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სზ, ტზ-1, სსზ-1-ის და რზ-2-ის გათვალისწინებით და შეზღუდვით - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობით „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ და 2023 წლის 16 იანვრის №61-01230161822 და 2023 წლის 12 აპრილის №61-01231022818 წერილების გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებას (729 756 ლარი) შორის სხვაობა შეადგენს 1 920 852 (ერთი მილიონ ცხრაას ოცი ათას რვაას ორმოცდათორმეტი) ლარს.

ბ) 2023 წლის 18 სექტემბრის მდგომარეობით ქ. თბილისში, ხიზაბავრის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული, №01.11.12.022.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სსზ-2-ის გათვალისწინებით და შეზღუდვის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობის „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ გარეშე და 2023 წლის 16 იანვრის №61-01230161822 და 2023 წლის 12 აპრილის №61-01231022818 წერილების გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებასა (692 007 ლარი) და ქ. თბილისში, ხიზაბავრის ქ. №1-ის მიმდებარედ არსებული, №01.11.12.022.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სზ და ტზ-1-ის გათვალისწინებით და შეზღუდვით - „მშენებლობის უფლების გარეშე“ და პირობით „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“ და 2023 წლის 16 იანვრის №61-01230161822 და 2023 წლის 12 აპრილის №61-01231022818 წერილების გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებას (188 250 ლარი) შორის სხვაობა შეადგენს 503 757 (ხუთას სამი ათას შვიდას ორმოცდაჩვიდმეტი) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, №01.11.12.022.018 და №01.11.12.022.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (დღევანდელი მდგომარეობით №01.11.12.023.022) გაუქმდება პირობები - „შეზღუდვა - მშენებლობის უფლების გარეშე“ და „მხოლოდ კეთილმოწყობის პირობით“, იმ პირობით, რომ ამ განკარგულების აღსრულების მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის (ბრძანება) გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მყიდველი სრულად გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 20 სექტემბრის №006649123 დასკვნით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას, ჯამში 2 424 609 ლარს.

საკითხთან დაკავშირებით, საბა ბუაძემ იკითხა: „რატომ ვუხსნით კომპანიას პირობას, როდესაც მან აუქციონზე მიწის ნაკვეთი შეიძინა პირობებით და ერთერთი პირობა იყო „მხოლოდ კეთილმოწყობის მიზნით“.

სოფო დოლონაძემ განმარტა, რომ საკადასტრო კოდეზის გაერთიანების შედეგად, ამ პირობის არსებობას აზრი არ ქონდა.

მომხრე-7. წინააღმდეგი-საბა ბუაძე, მიხეილ კაკურიძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქ. თბილისში, საინგილოს ჩიხი №5-ში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 315 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.331) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

სოფო დოლონაძის მოხსენებით, მოქალაქე კახა ხაბულიანის(პ/ნ 22001006546) წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და ითხოვა მოქალაქის საკუთრებაში არსებული 315 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი : 01.17.02.059.185) ადგილმონაცვლეობა ქ. თბილისში, საინგილოს ჩიხი №5-ში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 315 კვ.მ. მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.331).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა კახა ხაბულიანის სასარგებლოდ N01.17.02.059.185 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მოწყობილი სანიაღვრე კოლექტორის დემონტაჟი და მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლება სანიაღვრე ქსელისგან.

ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის წერილით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 2018 წელს შპს „ნიუ ქონსტრაქშენს ტექნოლოგთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოეწყო სანიაღვრე კოლექტორი პროექტის მიხედვით, რომლის ნაწილმაც გაიარა სერვიტუტით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე და მისი დემონტაჟი ვერ მოხდებოდა, ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე არ არის ალტერნატიული შესაძლოებლობა, რომ მოხდეს სანიაღვრე ქსელის გადალაგება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და მაღალი საზოგადოებრივი და მუნიციპალური ინტერესებიდან გამომდინარე, სააგენტომ უზრუნველყო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.17.02.059.266 საკადასტრო ერთეულიდან 315 კვმ მიწის ნაკვეთის გამოიჯვნა და ცალკე საკადასტრო ერთეულად (N01.17.02.059.331) დარეგისტრირება. ვინაიდან სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ორივე მიწის ნაკვეთი, როგორც მოქალაქის ისე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულის შეფასდა 162 225 ლარად, გაცვლა ხდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე, მოქალაქის საკუთრებაში არსებული 315 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი : 01.17.02.059.185) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში არსებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.041.160) შესყიდვის თაობაზე“

სოფო დოლონაძის მოხსენებით, მოქალაქე მანანა სოზიაშვილის წარმომადგენელმა, ითხოვა მოქალაქის საკუთრებაში არსებული „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდომში არსებული 381 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.14.041.160) ადგილმონაცვლეობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის N3/1813-16 გადაწყვეტილების შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება მანანა სოზიაშვილის მიმართ, ვინაიდან საკრებულოს 2012 წლის 27 აპრილის N4-13 გადაწყვეტილებით მოქალაქის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭა სატრანსპორტო ზონა. ზიანის ოდენობა დაადგინა შპს „ბიზნეს აუდიტმა“, რომლის 2016 წლის დასკვნის საფუძველზე მანანა სოზიაშვილის საკუთრებაში არსებული 1200კვმ მიწის ნაკვეთიდან, სატრანსპორტო ზონით დაფარული ნაწილის, 380 კვმ ფართობის ღირებულებამ შეადგინა 46419,60 ლარი. აღნიშნული თანხა მოქალაქემ მიიღო, რის შემდეგაც მან გამოიჯვნა 381 კვმ ფართი და დაარეგისტრირა ცალკე საკადასტრო კოდად.

მომხსენებლის განმარტებით, ამ პერიოდში საბურთალოს გამგეობა განიხილავდა სოფ.დიდომში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხს. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მოიცავდა მოქალაქის

საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, შედგა კომუნიკაცია და შეთახნმება მოქალაქესთან №01.72.14.041.160 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის თაობაზე მუნიციპალიტეტის მიერ. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად განისაზღვრა ნასყიდობის საფასური 57150 ლარი.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე 397 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.02.027.009) და ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 600 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.529) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

სოფო დოღონაძის მოხსენებით, შპს “portal”-ის (ს/ნ 404989241) წარმომადგენელმა, 2021 წლის 30 მარტს განცხადებით მიმართა ვ თბილისის მერიას და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული, ქ.თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, წერნაკის ქუჩის მიმდებარედ არსებული 673 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: 01.17.13.040.201) ადგილმონაცვლეობა.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანიამ აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეიძინა აუქციონზე 2019 წელს 480 582 ლარად, შემდეგი საპრივატიზებო პირობით: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება განხორციელდეს მხოლოდ ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის შემთხვევაში“. კომპანიამ პარამეტრების დასადგენად მიმართა ურბანულ სამსახურს, მაგრამ ურბანულმა სამსახურმა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურის“-გან მიიღო წერილობითი განცხადება, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურის“ ბალანსზე რიცხული წყალსადენი, წყალარინების ქსელი და წყალარინების მთავარი გამყვანი კოლექტორი, რომელთა გადატანა შეუძლებელია. ამავე დროს წყალარინების გარშემო მიმდებარე ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად. ყოველი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაკუთრეს შეუზღუდა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება.

სოფო დოღონაძემ აღნიშნა, რომ ადგილმონაცვლეობის მიზნებისთვის, სააგენტოს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს მიერ შეფასდა კომპანიის მიწის ნაკვეთი და მისი საბაზრო ღირებულება 2023 წლის 2 მარტის მდგომარეობით განისაზღვრა 576 761 ლარი.

შპს “portal”-ს გადაეცემა საკუთრებაში თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული „ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე 397 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.02.027.009) და ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე 600 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.529) მიწის ნაკვეთები, კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის სანაცვლოდ.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ჯამური ღირებულება, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე შეადგენს 576761 ლარს და კომპანია იხდის საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობას 100 ლარს.

მომხრე-8 თავი შეიკავა - მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, კრწანისში, სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 104 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.18.06.013.026) და 1 742 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.18.06.014.207) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

სოფო დოღონაძის მოხსენებით, მოქალაქე თორნიკე ჩხეიძის (პ/ნ 01008020503) წარმომადგენელმა მიმართა ქალაქის მერს და ითხოვა მისი მარწმუნებლის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში შატბერაშვილის ქუჩისა და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 1604 კვმ (საკ/კოდი: 01.14.12.003.126) მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა.

მომხსენებლის განმარტებით, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცებამდე მოქალაქის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 3(სზ3) და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2017 წელს გაცემულია სამშენებლო ნებართვა პარამეტრებით K1-05; K2-2,1 K3-02. დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის დამტკიცების შემდგომ მასზე გავრცელდა სატყეო ზონა. თემატური რუკის მიხედვით ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიის ფენა და ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა. აქედან გამომდინარე შესაკუთრეს შეუზღუდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება.

სოფო დოდონაძემ განმარტა, რომ თორნიკე ჩხეიძემ მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობის მიზნებისთვის ითხოვა კრწანისში, სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 104 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.18.06.013.026) და 1 742 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: №01.18.06.014.207) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზება. საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა, სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა, რაც შეადგენს 324 270 ლარს.

მომხრე-8 თავი შეიკავა - მიხეილ კაკურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის, 2016 წლის 27 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-307-14-19617 ხელშეკრულებითა და 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-484-9-23876 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

სოფო დოდონაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და იანივ მოშეს (პ/ნ: 01017037851) შორის 2016 წლის 27 აპრილს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-307-14-19617 ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონება: ქ. თბილისში, ბააზოვის ქუჩა N19-ის მიმდებარედ არსებული 165 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N01.18.04.018.068); ქ. თბილისში, ბააზოვის ქუჩა N19-ის მიმდებარედ არსებული 59 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N01.18.04.018.062).

მითითებული ქონების განკარგვა განხორციელდა შემდეგი სააუქციონო პირობებით: შეზღუდვა - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ (ხელშეკრულების „ბ“ პუნქტი, რომლის შესრულებაც დადასტურებულია სააგენტოს 2022 წლის 15 აპრილის NQN1892155 და QN1892154 გადაწყვეტილებებით) „რეკრეაციული სივრცის მოწყობის პირობით“ (ხელშეკრულების „გ“ პუნქტი).

მომხსენებლის განმარტებით, გარდა აღნიშნულისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ემ. სი აი. პროექტს“ (ს/ნ: 204496410) შორის 2019 წლის 8 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, აუქციონში გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ბააზოვის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებული 104 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ N01.18.04.018.080), რომლის განკარგვა განხორციელდა შემდეგი სააუქციონო პირობებით: შეზღუდვა - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე“ (ხელშეკრულების „ბ“ პუნქტი, რომლის შესრულებაც დადასტურებულია სააგენტოს 2022 წლის 15 აპრილის NQN1892133 გადაწყვეტილებით) და „მშენებლობის უფლების გარეშე“ (ხელშეკრულების „გ“ პუნქტი).

ამასთან, N01.18.04.018.068, N01.18.04.018.062 და N01.18.04.018.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შედეგად ფორმირებული N01.18.04.018.088 საკადასტრო ერთეულის N01.18.04.018.066, N01.18.04.018.090 და 01.18.04.018.091 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებთან გაერთიანების შედეგად, დღევანდელი მდგომარეობით, ფორმირებულია N01.18.04.018.094 საკადასტრო ერთეული (მიწის დაზუსტებული ფართობი: 3157 კვ.მ) და წარმოადგენს შპს „ემ. სი აი. პროექტის“ (ს/ნ: 204496410) საკუთრებას.

მყიდველმა, 2023 წლის 23 თებერვლის განცხადებით მომართა სააგენტოს და მოითხოვა, N01.18.04.018.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული აუქციონის პირობების (165 კვ.მ და 59 კვ.მ მიწის ნაკვეთებზე - „რეკრეაციული სივრცის მოწყობის პირობით“ და 104 კვ.მ მიწის ნაკვეთზე - „მშენებლობის უფლების გარეშე“) გაუქმება.

მყიდველის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციით, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად იქნა მიჩნეული N01.18.04.018.088 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული აუქციონის პირობის - „მშენებლობის უფლების გარეშე“ გაუქმება.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, N01.18.04.018.068, N01.18.04.018.062 და N01.18.04.018.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (დღევანდელი მდგომარეობით ფორმირებული ს/კ N01.18.04.018.094) გაუქმდება აუქციონის პირობები - „რეკრეაციული სივრცის მოწყობის პირობით“ და „შეზღუდვა - მშენებლობის უფლების გარეშე“, იმ პირობით, რომ ამ განკარგულების აღსრულების მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის (ბრძანება) გამოცემიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, მყიდველი სრულად გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 13 ივლისის N004897023 დასკვნით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას, ჯამურად - 228 944 ლარის ოდენობით.

საკითხთან დაკავშირებით, საბა ბუაძემ იკითხა, რომ აუქციონის ერთერთი პირობა იყო „რეკრეაციული სივრცის მოწყობა“ და რატომ ვუხსნით ამ პირობას, როცა მყიდველმა თავის დროზე ამ პირობით შეიძინა მიწის ნაკვეთი.

პასუხად მას განემარტა, რომ აღნიშნული საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მიმდებარედ იყო „იტალიური ეზოები“ და მიწის ნაკვეთის სხვანაირად განკარგვა ვერ მოხდებოდა.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ სამომავლოდ კარგი იქნება, რომ სააგენტომ მსგავს საკითხებზე წარმოადგინოს აუქციონის პერიოდისათვის ურბანული სამსახურის პოზიცია, რომ დამატებითი შეკითხვები არ გაჩნდეს.

მომხრე-7 თავი შეიკავა - საბა ბუაძემ, მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქ. თბილისში, გლდანის მასივის IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა N1-ის მე-2 სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან 286.78 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.002.061.01.501) უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისთვის - „World Vision International -ის ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ: 203844251) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

სოფო დოლონაძის მოხსენებით, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის - „World Vision International-ის ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ: 203844251) წარმომადგენელმა, მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, გლდანის მასივის IV მიკრო/რაიონში მდებარე შენობა N1-ის მე-2 სართულზე არსებული 469.73 კვ.მ. ფართიდან (ს/კ: 01.11.12.002.061.01.501) 286.78 კვ.მ. ფართის განმეორებით იჯარით გადაცემა, 10 წლის ვადით, მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრის და კრიზისული ინტერვენციის მომსახურების განხორციელების მიზნით.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული ფართი იჯარით იყო გადაცემული ამ ორგანიზაციაზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 26.03.2014წ. გადაწყვეტილებით და წლიური საიჯარო ქირის საფასურად განსაზღვრული იყო 4000 ლარი. ქ. თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს არ გააჩნია წინააღმდეგობრივი პოზიცია ფართის ორგანიზაციისთვის გადაცემასთან დაკავშირებით. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 29.06.23წ. დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 286.78 კვ.მ. ფართის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, განისაზღვრა - 44736 ლარის ოდენობით, რაც ეცნობა ორგანიზაციას.

ორგანიზაციის წარმომადგენელმა, განმეორებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა აღნიშნული ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. ორგანიზაციის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, ორგანიზაციას ფართში გახსნილი აქვს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვთა თავშესაფარი და დღის ცენტრი, სადაც ორგანიზაცია ყოველდღიურად ზრუნავს მათზე და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე.

აღნიშნული ორგანიზაციის სოციალური საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი ფართის აღნიშნული ორგანიზაციისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, 2 (ორი) წლის ვადით და ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე საკითხით უზუფრუქტის გაფორმებამდე პერიოდში ორგანიზაციის მიერ ფართის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის მოთხოვნაზე უარის საკითხი, საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში.

მომხრე-9

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

დღმა გამოცხადდა დასრულებულად.
ენების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
ომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხულაძე